დამტკიცებულია თსსა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე

ოქმი # 03 , 21 მარტი , 2024 წელი

სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის 2023-2024 სასწავლის წლის მე-2 სემესტრში სწავლის საფასურის გადახდისთვის დამატებითი ვადები.

1. სტუდენტებს, რომლებმაც 2023-2024 სასწავლის წლის მე-2 სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე არ დაფარეს 2023-2024 სასწავლის წლის მე-2 სემესტრის სწავლის საფასური, დაუწესდეთ შემდეგი დამატებითი ვადები 2023-2024 სასწავლის წლის მე-2 სემესტრის საფასურის გადახდისთვის:

ა) საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურების სტუდენტთა მიერ, რომლებიც სარგებლობენ 70%-იანი და 50%-იანი სახელმწიფო სასწავლო გრანტებით, წლიური საფასურის (2250 ლარი) ნახევარ თანხასთან (1125 ლარი) აღნიშნული პროცენტული მაჩვენებლის შეფარდების გათვალისწინებით, 2023-2024 სასწავლო წლის მე-2 სემესტრის სწავლის საფასური - შესაბამისად, 337,50 (სამას ოცდაჩვიდმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი (70%-იანი გრანტით მოსარგებლეთა მიერ) და 562,50 (ხუთას სამოცდაორი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი (50%-იანი გრანტით მოსარგებლეთა მიერ) გადახდილ უნდა იქნეს არაუგვიანეს 2024 წლის 1 აპრილის ჩათვლით;

ბ) საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტთა მიერ, რომლებიც არ სარგებლობენ ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული სახელმწიფო სასწავლო გრანტებით, 2023-2024 სასწავლო წლის მე-2 სემესტრის სწავლის საფასური გადახდილ უნდა იქნეს ორ ეტაპად, თითოეულზე (სემესტრის სწავლის საფასურის (1125 ლარი) ნახევარი) - 562,50 (ხუთას სამოცდაორი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარის ოდენობით შემდეგ ვადებში:

ბ.ა) პირველი შენატანი (562,50 ლარი) - არაუგვიანეს 2024 წლის 1 აპრილის ჩათვლით;

ბ.ბ) მე-2 შენატანი (562,50 ლარი) - არაუგვიანეს 2024 წლის 12 აპრილის ჩათვლით;

გ) საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტთა მიერ, რომლებსაც განსაზღვრული აქვთ ინდივიდუალური გრაფიკი და რომლებიც არ სარგებლობენ ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული სახელმწიფო სასწავლო გრანტებით, ინდივიდუალური გრაფიკის შესაბამისად 2023-2024 სასწავლო წლის მე-2 სემესტრისთვის დადგენილი სწავლის საფასური (ინდივიდუალური გრაფიკის მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წლის მე-2 სემესტრისთვის დადგენილი სწავლის საფასურის 50-50%) შესაბამისად გადახდილ უნდა იქნეს ორ ეტაპად, ამ პუნქტის „ბ.ა“ და „ბ.ბ“ ქვეპუნქტებში მითითებულ ვადებში.

2. სტუდენტების მიერ, რომლებიც არ სარგებლობენ პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული სახელმწიფო სასწავლო გრანტებით და რომლებმაც 2023-2024 სასწავლის წლის მე-2 სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე ნაწილობრივ დაფარეს 2023-2024 სასწავლის წლის მე-2 სემესტრის სწავლის საფასური, აღნიშნულ საფასურამდე (1125 ლარი) შესავსები თანხა გადახდილ უნდა იქნეს ორ ეტაპად, შესავსები თანხის 50-50%-ის ოდენობით, შესაბამისად პირველი პუნქტის „ბ.ა“ და „ბ.ბ“ ქვეპუნქტებით შენატანებისთვის განსაზღვრულ ვადებში.